გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

10 ივლისი 2023

N 5468/01

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

ასლი: სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს

ფრიად სასწრაფო!

ამბროლაურის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელდა ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოები, შემდგომში ტყის მართის გეგმის შემუშავების მიზნით. საველე სამუშაოების მიმდინარეობის დროს და კარტოგრაფიული მასალების დამუშავებისას გამოვლინდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყით დაფარული ფართობები, რომლებიც წინა ტყის აღრიცხვის (ტყეთმოწყობის) მასალებით ირიცხებოდა სახელმწიფო სამეურნეო ტყეში და ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენდნენ ტყით დაფარულ ფართობს, ხოლო „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილების გამოცემის შემდგომ არ იქნა შეტანილი სახელმწიფო ტყეში. ასევე გამოვლენილია ტყით დაუფარავი ფართობები, რომლებიც „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილების გამოცემის შემდგომ შეტანილი იქნა სახელმწიფო ტყეში და ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენენ ტყით დაუფარავ ფართობებს, კერძოდ: ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს, მდინარეებს, ხეხილის ბაღებს და სხვა სასოფლო სამეურნეო მიწებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №496 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით ტყის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრული ფართობებისთვის მოსამზადებელი შუამდგომლობა, რომელიც უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას **უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან**.

ინფორმაციისთვის, გაცნობებთ, რომ სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ 2023 წლის 29 ივნისის N11/4280 კორესპონდენციით, წარმოადგინა ამბროლაურის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო ტყის საზღვრების კორექტირებისთვის (ჩასარიცხი და ამოსარიცხი) ფართობების დაზუსტებული (დაკორექტირებული) Shp ფაილები და სრულად

გაითვალისწინა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 23.05.2023წ. N22/3822 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები.

ასევე, სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ სრულად გაითვალისწინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 12 იანვრის N 7/1202 და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 9 მარტის N 76-762304040 კორესპონდენციებით წარმოდგენილი შენიშვნები.

რაც შეეხება სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების 2022 წლის 31 აგვისტოს N 56-562224340 და 2022 წლის 16 სექტემბრის N 54-542225967 კორესპონდენციებით წარმოდგენილ მოსაზრებებს, სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ კანონმდებლობის შესაბამისად გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნები.

საქართველოს კანონი „ტყის კოდექსის“ მე-12 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე, ტერიტორიას სახელმწიფო ტყის სტატუსი ენიჭება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ სამინისტროს შუამდგომლობა, რომელიც შემუშავდება **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.**

სამინისტროს, საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის მომზადებასთან დაკავშირებით, ესაჭიროება **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია,** რასთან დაკავშირებითაც გთხოვთ თქვენს თანხმობას.

დანართი: 8 (რვა) ფაილი.

პატივისცემით,

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის მოადგილე